მესტიის მუნიციპალიტეტი

დ. მესტიის სათავგადასავლო პარკი

2024 წელი, №3 * მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო გამოცემა

"სვანეთობა 2024"

29 ივლისს, მესტიის მუნიციპალიტეტში ტრადიციული სახალხო დღესასწაული „სვანეთობა 2024“ გაიმართა.

დაბა მესტიაში, სეტის ცენტრალურ სკვერში წარმოდგენილი იყო მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიული ერთეულის პავილიონი, სადაც გამოფენილი იყო ადგილობრივი ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრები, ძველი სვანური საყოფაცხოვრებო ნივთები და სვანური ტრადიციული სამზარეულოს გამორჩეული და საუცხოო კერძები, რომლის დაგემოვნების საშუალება ქონდა ყველას, ადგილობრივ თუ ჩამოსულ ვიზიტორს.

„სვანეთობა 2024“-ის საკონცერტო ნაწილი გახსნა ანსამბლმა „რიჰომ“. ღონისძიებაზე სპეციალური მოწვევით იმყოფებოდა ქედის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“. მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ასევე ადგილობრივი ანსამბლები: ბეჩოს კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი, ეცერის გუნდი, ჭუბერის ფოლკლორული ანსამბლი „ნენსკრა“.

კონცერტის დასასრულს სცენაზე მოწყობილ დიდ ეკრანზე ქართველი ენათმეცნიერის მზექალა შანიძის სპეციალურად ამ დღისთვის ჩაწერილ ვიდეო მიმართვა მოისმინა დამსწრე აუდიტორიამ.

ტრადიციულად სვანეთობის დღესასწაულისთვის დასახელდა მესტიის საპატიო მოქალაქე. გაწეული ხანგრძლივი, განსაკუთრებული ღვაწლისთვის, ჯილდო გადაეცა დამსახურებულ და გულისხმიერ ექიმ თერაპევტს, ღირსეულ ქალბატონს, ლილი ჯაფარიძეს.

დასახელდა სპეციალური ჟიურის მიერ გამოვლენილი გამარჯვებულები

სხვადასხვა საკონკურსო ნომინაციებში:

იდლიანი – მივიწყებული საუკეთესო სვანური კერძი;

ნაკრა – ყველისა და რძის პროდუქტებისგან მომზადებული საუკეთესო კერძი;

მულახი – მხალეულისგან მომზადებული საუკეთესო კერძი;

მესტია – ხორცპროდუქტებისგან მომზადებული საუკეთესო კერძი;

ტელმან გიგანი (მულახი) – სვანური ელემენტებით ხის საუკეთესო ნაკეთობა;

ჭუბერი – საუკეთესოდ წარდგენილი სუფრა;

ბერდია ქურდიანი (მულახი) – საუკეთესო ლითონის ჭედური ნაკეთობა;

კახი კვიციანი (X კლასის მოსწავლე (ბეჩო)) – ახალგაზრდა ხელმარჯვე ოსტატი;

წვირმი – უძველესი სვანური სამზარეულოს აღჭურვილობის წარმოდგენისთვის;

ადგილობრივი განვითარებისა და რეფორმების ცენტრი – სვანეთში მოყვანილი ხორბლის ფქვილისგან მომზადებული საუკეთესო კერძი;

ლენჯერი – საუკეთესო სვანური დესერტი;

კახა ფალიანის სარეაბილიტაციო ცენტრი – ხელსაქმის ოსტატების მიერ წარმოდგენილი საუკეთესო ნამუშევრები;

ბეჩო – საუკეთესოდ წარმოდგენილი თევზეული;

საუკეთესო მუსიკალური ნომრის წარმოდგენისთვის სიგელი გადაეცა ჭუბერის ფოლკლორულ ანსამბლ „ნენსკრას“ ხელმძღვანელს, ლალი ჩხეტიანს, რომელსაც ვახტანგ ფილფანის

ხელით შესრულებული სვანური საკრავები, ჩანგი და ჭუნირი გადაეცა საჩუქრად.

ჟიურის სპეციალური პრიზი გადაეცა გადაეცა ლატალის ადმინისტრაციულ ერთეულს, მრავალფეროვანი და ესთეტიურად წარმოდგენილი სუფრისთვის.

ნომინაციებში გამარჯვებულებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

სვანეთობის დღესასწაულზე ადგილობრივი მეწარმეებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომელთაც მოწყობილი ქონდათ მათი შემოქმედების და ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

საღამოს დასკვნით კონცერტზე, მაყურებლის წინაშე ყველასთვის საყვარელი მომღერალი და კომპოზიტორი, ნატო გელაშვილი და ძმები ჭოხონელიძეები წარსდგნენ. თბილი და ემოციური საღამო ფეიერვერკით დაგვირგვინდა.

სვანეთობის სახალხო დღესასწაულს ადგილობრივი თუ უცხოელი ვიზიტორი მრავლად სტუმრობდა. ყველაზე გემრიელი და მრავალფეროვანი ღონისძიება 2014 წლიდან ტარდება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით და დაფინანსებით.

მესტიის სათავგადასავლო პარკში თოკების ატრაქციონი გაიხსნა და ელის ვიზიტორებს

პარკი მოიცავს ხეებს შორის დამონტაჟებულ 40-მდე სხვადასხვა ტიპის დაბრკოლებას, როგორებიცაა: თოკების ხიდები, საცოცი ბადეები, საქანელები და ზიპლაინები.

520 მეტრიანი სიგრძის თოკების პარკი სხვადასხვა სირთულის 4 მარშრუტს აერთიანებს.

პარკი განკუთვნილია 5 წლის ასაკიდან ზემოთ. თოკების სათავგადასავლო პარკის ღირებულება კატეგორიების მიხედვით არის:

1. A კატეგორია, 5-8 წლამდე - 15 ლ.
2. B კატეგორია 8-12 წლამდე - 15 ლ.
3. C კატეგორია 12-16 წლამდე - 20 ლ.
4. D კატეგორია 16 წლიდან ზემოთ - 20 ლ.

მაღალმთიანი დასახლების განვითარების სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვა

2 ივლისს, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის სააქტო დარბაზში, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიისა და მისი 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ საჯარო განხილვა-დისკუსია გაიმართა.

სტრატეგიის უმოკლეს ვადებში დამტკიცების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უკვე დაიწყო რეგიონებში გასვლა და კონსულტაციების გამართვა. სტრატეგიის შესახებ პრეზენტაცია რეგიონული

განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარებისა და მთის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი დიდიძემ წარადგინა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მერის წარმომადგენლები ტერიტორიულ ერთეულებში, მესტიის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირები, ბიზნესსექტორის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები. სამუშაო დოკუმენტის პირველი ეტაპის საჯარო კონსულტაციაზე იმსჯელეს სტრატეგიის ძირითად მიზნებზე და ამოცანებზე, რომლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროექტების ფარგლებშია განსაზღვრული.

დამსწრე საზოგადოების მხრიდან მრავლად დაისვა კითხვები სხვადასხვა აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებზე. ძირითადი აქცენტები შეეხებოდა ჯანდაცვის სერვისებს, მაღალმთიანი დასახლების ეკონომიკურ პროფილს, მათ შორის სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. ასევე იყო მსჯელობა ბიზნესისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე და ინფრასტრუქტურის (გზები, ელექტრომომარაგება) განვითარების მიმართულებით.

დოკუმენტის მაკოორდინირებელ უწყებად განსაზღვრულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. სტრატეგიის დამტკიცებამდე, სავალდებულოა მათი საჯაროდ განხილვა ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობისაგან უკუკავშირის მოსმენა.

მესტიის მოკლემეტრაჟიანი მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი

23-27 ივლისს „მესტიის მოკლემეტრაჟიანი მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი“ გაიმართა. ფესტივალი მესტიის მუნიციპალიტეტში უკვე ტრადიციულად, მეოთხე წელია ტარდება.

წლევანდელი კინოფესტივალის საპატიო სტუმარი, ლეგენდარული რაინჰოლდ მესნერი გახლდათ.

ცნობილი მთამსვლელი და რეჟისორი, „მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ხათუნა ხუნდაძის მოწვევით სტუმრობდა.

კინოფესტივალის გახსნის საზეიმო ცერემონიას მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრმა უმასპინძლა. მესტიის ფოლკლორული ანსამბლის „რიჰოს“ მიერ შესრულებული სიმღერების შემდეგ ღონისძიების სტუმრებს სიტყვით მიმართეს, ფესტივალის დირექტორმა, ხათუნა ხუნდაძემ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერმა, კაპიტონ ჟორჟოლიანმა, იტალიის ელჩმა საქართველოში, მასიმილიანო დ'ანტუონომ და თავად რაინჰოლდ მესნერმა, რომელსაც ფესტივალის დამფუძნებელმა საპატიო ჯილდო გადასცა.

გახსნის ღონისძიება რაინჰოლდ მესნერის ფილმის „ნანგა პარბატი – ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი მთა“ ჩვენებით გაგრძელდა. ჩვენებას თავად რაინჰოლდ მესნერი დაესწრო და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა. ფილმი მესნერების ოჯახის საიდუმლოებით მოცულ ტრაგედიას ეხება. ფილმმა უდიდესი ემოცია და აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში, ღონისძიების სტუმრები ფილმის დასრულების შემდეგ ცოცხალ ლეგენდას ხანგრძლივი აპლოდისმენტებით უდასტურებდნენ ღრმა პატივისცემას.

რაინჰოლდ მესნერმა ჯერ ალპებში, შემდეგ კი მსოფლიოს ურთულეს მწვერვალებზე მარტო და ჟანგბადის გარეშე ასვლის ტრადიცია დაამკვიდრა. ის პირველი ადამიანია, რომელიც მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე, ევერესტზე, მარტო ავიდა. ასევე პირველმა მეწყვილე პიტერ ჰაბელერთან ერთად მწვერვალი ჟანგბადის გარეშე დაიპყრო. ის არის პირველი ადამიანი, რომელმაც მსოფლიოს 14-ვე 8000-იანი მწვერვალი დალაშქრა, თანაც მათი ნაწილი სრულიად მარტომ და ჟანგბადის გარეშე. მის სახელს უკავშირდება მსოფლიოს ყველა კო-

ნტინენტის უმაღლესი მწვერვალის დაპყრობა. 30 წლის მანძილზე მან 3 500-ჯერ დალაშქრა სხვადასხვა მწვერვალი.

საკონკურსო ფილმების სექცია გაიხსნა გიორგი ოვაშვილის ფილმით „ყინვა და პატარა მოწაფე“. ნაჩვენები იყო ავსტრალიდან, საფრანგეთიდან, ჩინეთიდან, ჩეხეთიდან, სომხეთიდან ესტონეთიდან, თურქეთიდან

შვეიცარიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი მოკლემეტრაჟიანი ფილმები. მთის ფილმების სექციაში ნაჩვენები იყო იტალიიდან, პერუდან, ეკვადორიდან, რუმინეთიდან, არგენტინიდან, სლოვენიიდან ჩამოტანილი სრულმეტრაჟიანი ფილმები. ფესტივალის ბოლოს ნაჩვენები იყო თინათინ ყაჯრიშვილის ოსკარზე წარდგენილი ფილმი „მოქალაქე წმინდანი“.

საკონკურსო ჟიური დაკომპლექტებული იყო საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიისა და რუმინეთის წარმომადგენლებით. თითოეული მათგანი ცნობილი ხელოვანი და არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია. ფესტივალს აშუქებდა საერთაშორისო პრესა ბრაზილიიდან, გერმანიიდან, კორეიდან, ესპანეთიდან და ამერიკიდან.

ფესტივალი 2021 წელს, ა (ა)იპ „მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან“ ერთად დააფუძნა რეჟისორმა და პროდიუსერმა ხათუნა ხუნდაძემ. ფესტივალი საქართველოს კულტურისა და სპორტის, კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის და მესტიის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ტარდება.

იაპონიის ალპური კლუბის დელეგაციის ვიზიტი მესტიაში

მიმდინარე წელს მესტიის მუნიციპალიტეტს ესტუმრა იაპონიის ალპური კლუბის დელეგაცია. აღნიშნულ შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ კლუბის თაოსნობითა და ჩართულობით დაბა მესტიაში მომავალი წლის გაზაფხულზე საკურას ხე-მცენარეები დაირგვება. პროცესს მიეცემა ოფიციალური ღონისძიების სახე და იქცევა ქართველ და იაპონელ ხალხს შორის არსებული მეგობრობის სიმბოლოდ. ამ ეტაპზე იაპონური მხარის მიერ გამოგზავნილია საკურას 10 ნერგი, რომელიც ინახება თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

საკურა (Sakura) ერთ-ერთი ულამაზესი დეკორატიული ალუბლის გვარის მერქნიანი მცენარეა. მისი სილამაზე იმდენად შთამბეჭდავია, რომ დეკორატიული ბაღი მის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. საკურას ყვავილი არის იაპონიის არაოფიციალური ეროვნული ყვავილი. მის ყვავილობას მრავალი საუკუნის განმავლობაში აღნიშნავენ, რის გამოც თვალსაჩინო ადგილს იკავებს იაპონურ კულტურაში. იაპონიაში ალუბლის ხის ათობით ჯიშია, რომელთა უმრავლესობა გაზაფხულზე მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში ყვავის.

ვფიქრობთ, რომ ხეების დარგვის ღონისძიება კარგი შესაძლებლობაა იაპონელი ვიზიტორებისა და მთამსვლელებისთვის, რათა გაეცნონ სვანეთს, მის მრავალფეროვან ბუნებრივ გარემოსა თუ კულტურას. თავის მხრივ, აღნიშნული აქტივობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იქნება მესტიის, როგორც ტურისტული ცენტრის უფრო მეტად წარმოჩენისთვის.

ლეო ფილფანის 90 წლის იუბილე

9-12 ივლისს, მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, საქართველოს სახალხო არტისტის, ლეო ფილფანის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ კვირეულს მასპინძლობდა. წელს, ქართული კინოსა და თეატრის ცნობილ ქართველ მსახიობს, ლეო ფილფანს, 90 წელი შეუსრულდებოდა. ლეო ფილფანის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება უკვე მესამე წელია ტარდება, მსახიობის შვილიშვილის, ქართული კინოსა და თეატრის მსახიობის, მხატვრული კითხვის ოსტატის, ნინო ფილფანის ინიციატივით.

საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო მსახიობის, ლეო ფილფანის მონაწილეობით ფილმების და სპექტაკლების ჩვენება. საიუბილეო კვირეული გაიხსნა შოთა მანაგაძის ფილმის ჩვენებით „ხევსურული ბალადა“. ფილმის ჩვენების დასასრულს გაიმართა დისკუსია, რომელსაც უძღვებოდა კინომცოდნე, ქეთევან ტრაპაიძე და თეატრმცოდნე, გიორგი ცქიტიშვილი. მეორე დღეს წარმოდგენილი იყო ალეკო ნინუას ფილმი „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა“ და პავლე ჩარკვიანის „ზოგი ჭირი მარგებელია“. დისკუსიას ამჯერადაც მოდერირებას კინომცოდნე ქეთევან ტრაპაიძე უწევდა, ხოლო დისკუსიაში მონაწილეობდა კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი, გია ჯაფარიძე.

საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში, მესტიის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრმა წარმოადგინა ბახვა წერედიანის თოჯინების სპექტაკლი „უშბა და თეთნულდი“, 11 ივლისს, მაყურებლის წინაშე წარსდგა ქუთაისის თოჯინების თეატრი, ნიკოლოზ საბაშვილის სპექტაკლით „იავნანამ რა ჰქმნა?!“ იმავე დღეს დმანისის დრამატულმა თეატრმა, სპექტაკლი ნინია სადღობელაშვილის „ხალდე“ წარმოადგინა (რეჟისორი

გიორგი სიხარულიძე). დმანისის თეატრის ახალგაზრდა მსახიობების მიერ წარმოდგენილი შთამბეჭდავი სანახაობა განსაკუთრებულად ემოციური აღმოჩნდა მაყურებლისთვის. საიუბილეო დღეების დასკვნითი საღამოზე წარმოდგენილი იყო თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი სპექტაკლით „ყველაფერი ნამდვილად იყო“ (რეჟისორი – იოანე (ვანო) ხუციშვილი). ღონისძიების წამყვანი გახლდათ ლეო ფილფანის შვილიშვილი, ნიჭიერი მსახიობი, ნინო ფილფანი. საღამოზე ფოლკლორული ნომრებით წარსდგნენ ანსამბლი „რიჰო“ და დები ჩამგელიანიები. ღონისძიების მიმდინარეობისას სიტყვით გამოდიოდნენ მოწვეული სტუმრები, კოლეგები, მსახიობის ახლობლები, კინოსა და თეატრის ექსპერტები, რომლებმაც გაიხსენეს მსახიობის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები. საიუბილეო საღამოზე ლეო ფილფანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნი-ალბომის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი-ალბომი აერთიანებს გამოჩენილ ხელოვანთა მოგონებებს და შეხედულებებს ლეო ფილფანის კინო თუ სათეატრო როლებზე.

თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის ინიციატივითა და „საქართველოს თეატრალური საზოგადოების“ მხარდაჭერით დაწესდა ლეო ფილფანის სახელობის ჯილდო, რომელიც მესტიაში სათეატრო კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის გეგი ფალიანს გადაეცა.

ღონისძიების წამყვანმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საიუბილეო ღონისძიების მხარდამჭერებს, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მესტიის მუნიციპალიტეტს, მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრს, და ღონისძიების პარტნიორს მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრს.

"სიღნაღის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი"

4 ივნისიდან 11 ივნისის ჩათვლით, სიღნაღის მუნიციპალიტეტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაფუძნებულ „სიღნაღის თეატრალურ ფესტივალს“ მასპინძლობდა, სადაც მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის სპექტაკლმა „უშბა და და თეთნულდი“ რომლის დამდგმელი რეჟისორი გახლავთ, ბახვა ნერედიანი, მეორე ადგილი მოიპოვა. სვანურ მითოსზე შექმნილმა თეატრალურმა წარმოდგენამ სავსე დარბაზის ოვაცია და დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფესტივალი უკვე მეორე წელია ტარდება. წელს გაიზადრა

ფესტივალის მასშტაბი და საერთაშორისო სტატუსი მიიღო. ფესტივალში მონაწილეობას იღებს სახალხო სამოყვარულო თეატრალური დასები. 13 საკონკურსო დასს შორის 5 უცხოური თეატრი იღებდა მონაწილეობას (ესპანეთი, თურქეთი, პოლონეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები).

თეატრმცოდნე და რეჟისორებისგან დაკომპლექტებული 5 ჟიურის წევრი აფასებდა ფესტივალს, მათ შორის გახლდათ ორი უცხოელი ჟიურის წევრი ესტონეთიდან და რუმინეთიდან. კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული სპექტაკლები:

I ადგილი – „ფიროსმანი“ მოხეტიალე მთვარის თეატრი;

II ადგილი – „უშბა და თეთნულდი“ მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრი;

III ადგილი – „მეთორმეტე სახლი“ მელექ სეილანი და მისი გუნდი (თურქეთი).

გამარჯვებულ თეატრებს გადაეცათ ფულადი პრემიები და კომპანია „ზარაფხანას“ მიერ სპეციალურად ფესტივალისთვის დამზადებული ჯილდოები.

„სიღნაღის თეატრალური ფესტივალი“ ქალაქ სიღნაღში ყოველწლიურად ივნისის თვეში ტარდება. მაყურებელს საშუალება აქვს იხილოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრებთან არსებული სახალხო თეატრების წარმოდგენები, ასევე ამავე სამოყვარულო დასებისა და სახელმწიფო თეატრების ერთობლივი სპექტაკლები.

ფესტივალი საგანმანათლებლო პროგრამასაც მოიცავს: ერთი კვირის მანძილზე იმართებოდა მასტერკლასები, სამუშაო შეხვედრები და საჯარო ლექციები, რომელთაც თეატრალურ სფეროში მოღვაწე სხვადასხვა მიმართულების პროფესიონალები უძღვებოდნენ. მსგავსი აქტივობები ხელს შეუწყობს განსაკუთრებით სამოყვარულო დასების პროფესიონალიზმის ამაღლებას და განვითარებას.

ფესტივალის მიზანია საქართველოში თეატრალური პროცესების წახალისება, სამოყვარულო თეატრალური დასების მხარდაჭერა და ქართულ თეატრალურ სამყაროსთან მათი ინტეგრაცია. ფესტივალზე მაყურებელთა შორის იყვნენ საზღვრისპირა რეგიონში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ უდაბნოში ჩასახლებული სვანები, რომელთა ტრანსპორტირება და სპექტაკლზე დასწრება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ.

მნიშვნელოვანია ასევე აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობისთვის მესტიის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა. ფესტივალზე დასთან ერთად იმყოფებოდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი სოციალურ და კულტურის საკითხებში, ლევან კიკვიძე. მუნიციპალიტეტი ყოველთვის გამოხატავს მზაობას და მხარს უჭერს ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს.

"თეატრალური ფესტივალი – 2024"

20-23 ივნისს, რეგიონული განვითარების ფონდის ორგანიზებით „თეატრალური ფესტივალი – 2024“ გაიმართა. ფესტივალს ლანჩხუთის კულტურის ცენტრმა უმასპინძლა.

აღნიშნულ ფესტივალზე მონაწილეობა მიიღო რეგიონული განვითარების ფონდის ეცერის თეატრალურმა დასმა, რომელმაც კომედიური ჟანრის ზღაპარი „ბრემენელი მუსიკოსები“ წარმოადგინა.

ფესტივალზე მონაწილეობდნენ ასევე ხონის, ახალციხის, ქედის, ახმეტის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, თერჯოლის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების თეატრალური დასები.

პირველ ადგილზე გავიდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩოჩხათის საჯარო სკოლის დასი, სპექტაკლით „დარისპანის გასაჭირი“. გამოვლინდნენ გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციებში. კომედიურ ჟანრში, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის, ჯილდო ეცერის საჯარო სკოლის დასის მსახიობმა, ელენე პაკელიანმა მიიღო.

თეატრალურ ფეტივალში მონაწილეობამდე სპექტაკლის „ბრემენელი მუსიკოსების“ პრემიერა მესტიის ლეო ფილფანის სახელობის თეატრში გაიმართა, სადაც მაყურებლის აღტაცება და დიდი მონონება დაიმსახურა.

რეგიონული განვითარების ფონდის ეცერის საჯარო სკოლის თეატრალური დასის სპექტაკლის – „ბრემენელი მუსიკოსების“ რეჟისორი გახლავთ, მსახიობი რამაზ

ფილფანი, მხატვარი და ქორეოგრაფი – ნანა გიგანი; მუსიკალური გაფორმება – რამაზ ფილფანი.

სპექტაკლში მონაწილეობენ ეცერის საჯარო სკოლის მოსწავლეები:

მარიამ გერლიანი;
თუკო უმფრიანი;
ზოი პაკელიანი;
ელენე პაკელიანი
ლუკა მურღვლიანი
მარიამ პაკელიანი
მარიამ გერლიანი
ლიზი ცალანი
ნინი კატშანი
ლალი ჯუმბერიძე
ნინი გერლიანი

ნამდვილად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა მსგავს პროექტებში, სადაც ეძლევათ საშუალება დაეუფლონ მსახიობის ოსტატობას, გაიუმჯობესონ მეტყველების კულტურა და წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენ მომავალ ნიჭიერ თაობას!

სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალი "დალი"

15-20 ივლისს, სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალს „დალი“ მესტიამ წელს მეოთხედ უმასპინძლა.

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასები კინოინდუსტრიის წამყვან პროფესიონალებისგან. კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით წელს კინოფესტივალ „დალის“ ცნობილი შვედი კინორეჟისორი რუბენ ოსტლუნდი ეწვია.

საკონკურსო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენებები ლეო ფილფანის სახელობის თეატრის სივრცეში მოეწყო. სეტის მოედანზე ღია ცის ქვეშ მოწყობილ კინოთეატრში რუბენ ოსტლუნდის ფილმების ჩვენება-განხილვა გაიმართა. ფილმი თავად რეჟისორმა წარადგინა. მსოფლიოში აღიარებულმა რეჟისორმა საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის ხელმძღვანელ ბაჩო ოდიშარიასთან ერთად ფესტივალის სტუმრებისა და ახალგაზრდა რეჟისორებისთვის ჰაწვალზე მასტერკლასი ჩაატარა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმით მიმდინარეობდა. დამსწრეებს მიეცათ შესაძლებლობა, მეტი გაეგოთ კინორეჟისორის პროფესიული გამოცდილების, ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. რუბენ ოსტლუნდმა უპასუხა კითხვებს იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება კინოინდუსტრიაში დიდი წარმატების მოპოვება.

ფესტივალი არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა ახალგაზრდა რეჟისორების კარიერული წინსვლისა

და განვითარებისთვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული კინოპროექტების კონკურსი. დღეს ქართველმა და უცხოელმა ახალგაზრდა კინორეჟისორებმა საერთაშორისო ჟიურის საკუთარი იდეები და კინოპროექტები წარუდგინეს, შემდგომ კი უპასუხეს დაინტერესებულ პირთა შეკითხვებს გეგმებსა და კინოპროექტებთან დაკავშირებით. კონკურსის შედეგად გამოვლინდება ორი გამარჯვებული.

სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალი 2021 წელს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროა ხელშეწყობით დააფუძნა კინორეჟისორმა მარიამ ხაჭვანმა. სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალი შესაძლებლობას აძლევს ნიჭიერ რეჟისორებს, პროდიუსერებს და მწერლებს მთელი მსოფლიოდან, ერთად წარმოაჩინონ თავიანთი ნამუშევრები საინტერესო საერთაშორისო გარემოში.

სვანეთის მე-4 საერთაშორისო კინოფესტივალის მხარდამჭერები არიან;

საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თელიანი ველი, სვანეთის კინოსტუდია, საპროდიუსერო კომპანიები:“ Svaneti film studio „20 Steps Productions“, Indfendent Film Project, ბაზიბანკი, სასტუმრო Chalet მესტია, 1TV, Allprint და მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი.

"მთის დღეები 2024"

13 ივნისს, მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებითა და მესტიის მერიის ჩართულობით, მესტიაში, უღვირის ტბის მიმდებარედ „მთის დღეები 2024“ ჩატარდა.

საფესტივალო ტერიტორიაზე მისული სტუმრები სხვადასხვა აქტივობებში იღებდნენ მონაწილეობას. მოეწყო ადგილობრივი რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, გაიმართა საბავშვო, შემეცნებითი, გასართობი თამაშები და შეჯიბრებები. მოეწყო ასევე ადგილობრივი მზარეულების მიერ ტრადიციული კერძების მომზადება, დეგუსტაცია, მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

ღონისძიებას პარლამენტის წევრი ვიქტორ ჯაფარიძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, მესტიის მუნიციპალიტეტის მერი კაპიტონ ჟორჟოლიანი, საკრებულოს თავმჯდომარე მაიზერ ჯაფარიძე, სახელმწიფო რწმუნებული პირველი მოადგილე ნინო ვიბლიანი, მესტიის მერიის მრჩეველი ლევან კიკვიძე და სახელმწიფო რწმუნებულის მრჩეველი დავით გვიშიანი ესწრებიან.

გაიმართა ტრადიციული დაჯილდოების ცერემონია „მთის დღეები 2024“, გამარჯვებულებს საჩუქრები მესტიის მერის მრჩეველმა ლევან კიკვიძემ გადასცა. დაჯილდოვდნენ მიხეილ ხერგიანის სახელობის მეორე საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი მასწავლებელი ციალა გულედანი, მესტიის სახანძრო სამაშველო განყოფილების მეხანძრე-მაშველი ჯიმშერ მარგიანი და სპეციალიზებული სამაშველო განყოფილების მაშველი, მაიორი ბესო ხერგიანი.

„მთის დღეები 2024“ მესტიის ფოლკლორული ანსამბლ „რიჰოს“, ჯგუფის, „რეზო და ბავშვების“ ანსამბლ „შვიდკაცას“ და კვარტეტ „ჰერიოს“ კონცერტით დასრულდა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით „მთის დღეები“ წელს მესამედ იმართება.

ლევან ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი

22 – 23 ივნისს, მესტიის ლერი ნაკანის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა თბილისის აბსოლიტური ფალავნის, ლეუშა (ლეო) ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ოზურგეთის, თერჯოლის, ქუთაისის, ცაგერის, აჭარის და მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკრები-გუნდები.

გთვაზობთ შედეგებს:

40 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი – ზაზა ბერიძე
II ადგილი – მათე კოსტავა
III ადგილი – სანდრო ჭოხონელიძე

45 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი – საბა ბოჭორიშვილი
II ადგილი – თომა ტყემალაძე

III ადგილი – ზაგდერ ქალდანი

50 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი – ლაზარე ბარათელი
II ადგილი – გიორგი წერედიანი
III ადგილი – დაჩი შარაბიძე

55 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი – ბესო პაკელიანი
II ადგილი – ანდრია არღვლიანი
III ადგილი – ნიკოლოზ დორეული

+55 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი – ნიკოლოზ ფირცხელანი
II ადგილი – დიმიტრი ქალდანი
III ადგილი – ფალიანი გიორგი

გამარჯვებულები და პრიზიორები, საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

რესპუბლიკური ტურნირი „კოლხეთის თასი"

21-23 ივნისს, ქ. ზუგდიდში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი „კოლხეთის თასი" 2024.

შეჯიბრებაში 17 გუნდი ასპარეზობდა, მათ შორის მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდი (12 მონაწილე).

გუნდს ხელმძღვანელობდნენ მწვრთნელები – მაიზერ ჯაფარიძე და ზურიკო წერედიანი.

შედეგები:

38კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი – სანდრო ჭოხონელიძე

42კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი – საბა გირგვლიანი

55კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი – კვირიკე გირგვლიანი

55კგ. წონითი კატეგორია
II ადგილი – ბესო პაკელიანი

+60კგ. წონითი კატეგორია
II ადგილი – ნიკოლოზ ფირცხელანი

34კგ. წონითი კატეგორია
III ადგილი – ალექსანდრე ლუხუტაშვილი

34კგ. წონითი კატეგორია
III ადგილი – ნიკოლოზ ჭეხანი

38კგ. წონითი კატეგორია
III ადგილი – დავით ივეჩიანი

50 კგ. წონითი კატეგორია
III ადგილი – გიორგი წერედიანი

55კგ. წონითი კატეგორია
III ადგილი – ლუკა ფარჯიანი

60კგ. წონითი კატეგორია
III ადგილი – ვანო გულბანი

გუნდურ ჩათვლაში მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკრებმა – გუნდმა დაიკავა მეორე ადგილი.

ტურნირი "ძლიერი თაობა, ძლიერი საქართველო"

2 ივნისს თბილისის ტანვარჯიშის არენაზე ჩატარდა ტურნირი და საქართველოს ჩემპიონატი „ძლიერი თაობა, ძლიერი საქართველო".

აღნიშნული ღონისძიებები და ასევე, „წმინდა გიორგის" ჯგუფის საჩვენებელი გამოსვლა მიეძღვნა ზემო სვანეთში, ავტოკატასტროფის შედეგად დაღუპული ახალგაზრდების, საბა გვარმიანის, ეკატერინე ვიბლიანისა და გიორგი ვიბლიანის ხსოვნას...

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს კიოკუშინის ფედერაციის რამდენიმე კლუბის მოსწავლეები. მათ შორის იყო 7 მებრძოლი მესტიის მუნიციპალიტეტიდან.

გუნდს ხელმძღვანელობდა მწვრთნელი – ანა გიგაური (შავი ქამარი 3 დანი)

ტურნირზე გავიდნენ და პირველი ადგილები მიიღეს: გაბრიელ ფალიანი, გიორგი გაბლიანი, ლუკა სართანია, საბა ფალიანი, ნიცა ფალიანი, ანდრია გაბლიანი, მათე სართანია.

საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ძმები, გიორგი გაბლიანი და ანდრია გაბლიანი

მეორე ადგილი დაიკავეს: გაბრიელ ფალიანმა და ლუკა სართანიამ.

წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს სპორტსმენებს!

ნესტორ ხერგიანის მასტერკლასი

მიმდინარე წლის 26 ივნისს, ა (ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრში" ადგილობრივ ახალგაზრდა ძიუდოისტებს, ვეტრანმა ტიტულოვანმა სპორტსმენებმა, ავთანდილ ჭრიკიშვილმა და ნესტორ ხერგიანმა მასტერკლასი ჩაუტარეს.

სპორტსმენებმა ძიუდოისტებს სხვადასხვა ილეთების შესრულების ტექნიკა აჩვენეს.

მათ ასევე, ჩაუტრეს პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობები. მასტერკლასმა ნაყოფიერად ჩაიარა, რამაც ახალგაზრდა სპორტსმენები ძალიან გაახარა.

ღონისძიების მხარდამჭერი გახლავთ მესტიის მუნიციპალიტეტის მერია.

ზურაბ სარსანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კრივში

19-22 მაისს, ქ. ფოთში გაიმართა ზურაბ სარსანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კრივში. შეჯიბრებაში მესტიის მინიციპალიტეტის სამი მონაწილე ასპარეზობდა. გუნდს ხელმძღვანელობდა მწვრთნელი – გიორგი ჩართოლანი.

შეჯიბრებაზე 46 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა ნიკოლოზ მუშკუდიანმა.

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: დ. მესტია სეტის მოედანი №1	გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებამ: თამარ გოშთელიანი, მაია ფილფანი, ლაშა ჯაფარიძე და ხატია წიკლაური.	გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორი"-ს კომპიუტერულ ცენტრში	ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 599 85 55 25 თამარ გოშთელიანი 595 08 95 30 ხატია წიკლაური ელ. ფოსტა: meriasazogadoeba@gmail.com